ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **2013 წლის 7 თებერვალი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 26 წევრი: 1. თოდუა ნუგზარი 2. მექვაბიშვილი ელგუჯა 3. მესხორაძე გიორგი 4. გეგეჭკორი არნოლდი 5. ელიაშვილი მერაბი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. ომანაძე როლანდი 8. კერესელიძე დავითი 9. გუბაძე ვასილი 10. ჭლიკაძე გივი 11. კახიანი გიორგი 12. ბენდელიანი ბექა 13. პაპაშვილი თამარი 14. ჭალიძე ივერი 15. გალდავა გიორგი 16. მარგველიშვილი ვლადიმერი 17. თურქიაშვილი შორენა 18. მაცაბერიძე მალხაზი 19. შამილიშვილი მანანა 20. წერეთელი მარი 21. ბრაჭული ირაკლი 22. გელოვანი ნანი 23. ლიჩელი ვახტანგი 24. ახლოური ბექა 25. ზივზივაძე ვახტანგი 26. ჯღამაძე უჩა (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. დავითაშვილი ზურაბი 4. გერსამია მარიამი 5. შენგელაია ალექსანდრე 6. ნადარაია ელიზბარი 7. სურგულაძე ნუგზარი 8. გველესიანი რევაზი 9. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–19 მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელდა არნოლდ გეგეჭკორი, რომელიც წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად აირჩია სხდომის თავმჯდომარედ.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანის საკითხი.

2. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

3. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების დამტკიცება.

4. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის დადგენილება №10/2013–ის დამტკიცება

5. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება

6. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის დადგენილება №5/2013–ის დამტკიცება

1. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოამდგენლობით საბჭოს გააცნო თსუ–ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანის საკითხი. მისი განმარტებით, 2012 წლის 24 დეკემბერს, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს ერთობლივ სხდომაზე განხილული, თსუ–ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის დაზუსტება შემოსავლების ნაწილში განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების დაზუსტებამ და სტუდენტთა სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის წესის შესაბამისად, დამატებით შემოსულმა სახსრებმა, ასევე, წლის ბოლოსათვის ჩამორიცხულმა სასწავლო გრანტმა. ბიუჯეტის პროექტის ხარჯვით ნაწილს ცვლილებები არ შეხებია. ამდენად, ბიუჯეტის პროექტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 64 496 290, ხარჯვით ნაწილში – 59 676 124 ლარით.

სახელმწიფო დაფინანსება შემცირდა 759 290 ლარით, მათ შორის, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფინანსება 459 290, ხოლო სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა – 300 000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის კომუნალური და მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შესყიდვები 45 9290 ლარის ფარგლებში განხორციელდება უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლებიდან.

სპორტული ღონისძიების ხელშეწყობის პროგრამით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა უნივერსიტეტის კალათბურთის და ფუტზალის გუნდები. წევრებს ეძლეოდათ ხელფასი და ირიცხებოდა ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო. მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატ და სეზონის დასრულებამდე ორივე გუნდისათვის საჭიროა 243055 ლარი. აღნიშნული ხარჯი გაწეული უნდა იქნეს თსუ–ს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. გაზაფხულზე დაზუსტდება სახელმწიფო ბიუჯეტი და იმედია, რომ დაფინანსება აღდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იძულებული იქნება კალათბურთისა და ფუტზალის გუნდებს შეუწყვიტოს დაფინანსება.

რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო სპორტი უნივერსიტეტისთვის ძალზედ მნშვნელოვანია, მით უმეტეს, ორივე გუნდი ღირსეულად ასპარეზობს, მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი გალდავამ, ელგუჯა მექვაბიშვილმა და აკადემიური საბჭოს წევრებმა: მარიამ გერსამიამ, ნუგზარ სურგულაძემ, ქეთევან მარშავამ და ალექსანდრე შენგელაიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები (დანართი 3)

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო თსუ–ს წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ პროექტი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მსგავსი დოკუმენტი წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხელ უკვე მიიღო, თუმცა წარმოდგენილ ვარიანტში გათვალისწინებულია სამინისტროს ყველა შენიშვნა, ასევე, გასწორდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი (დანართი 4) და გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

3. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ–ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის საკითხი. არჩილ კუკულავას განმარტებით, აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება, რომელიც აქამდე შედიოდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის შემადგენლობაში, საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, გადადის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შემადგენლობაში. ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებება საჭიროებს წარმომადგელობითი საბჭოს მხრიდან თანხმობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებები. (დანართი 5)

4. აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსმა, ქალბატონმა ქეთევან ცინცაძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის დადგენილება №10/2013 და აღნიშნა, დადგენილებით დამტკიცებული დებულება ითვალისწინებს თსუ–ს ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებებს. ცენტრისათვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების შემოერთება ასახულია წარმოდგენილ დებულების პროექტში, რომელიც ვიზირებულია იურიდიული დეპარტამენტის მიერ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის დადგენილება №10/2013 (დანართი 6) 2. ახლადდამკიცებული დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის ოქმი №20–ით დამტკიცებული აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოქმედი დებულება.

5. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა დალი კანდელაკმა წარმოადგინა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების პროექტი. მისი განმარტებით, პროექტში ასახულია თსუ–ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები, ასევე, დეპარტამენტში იქმნება ახალი, სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება. ამ განყოფილების შექმნით სტუდენტთა მონაცემების სისტემურ აღრიცხვასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა გადაიჭრება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება (დანართი 7) 2. ახლადდამკიცებული დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 18 აპრილის ოქმი №35–ით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მოქმედი დებულება.

6. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ ზარანდიამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის დადგენილება №5/2013. თამარ ზარანდიას განმარტებით, თსუ შპაიერის უნივერსიტეტთან ერთად 2009 წლიდან ახორციელებს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას საჯარო მმართველობაში. პროგრამა წარმატებით ხორციელდება და მის მიმართ ინტერესი მზარდია. უნივერსიტეტების შეთანხმებით, იქმნება ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, რომელიც საჯარო მმართველობისა და ადმინისტრაციული მეცნიერების კვლევით დაკავდება. ინსტიტუტი დაფინანსდება იურიდიული ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სრული მოცულობის დაახლოებით 0,4%–ით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის დადგენილება №5/2013. (დანართი 8)

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე: ა. გეგეჭკორი

წარმომადგენლობითი საბჭოს
აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

დანართი 1

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2013 წლის 7 თებერვალი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი

- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2013 წლის 7 თებერვალი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

დასახელება	ლარი
შემოსავლები	**64 496 290,0**
სასწავლო გრანტი	**17 758 605,0**
ეკონომიკური საქმიანობა(სწავლის გადასახადები და სხვადასხვა)	**25 377 141,0**
2012 წლის გარდამავალი ნაშთი	**10 139 433,0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება	**4 456 400,0**
მ.შ. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები	**3 938 000,0**
მ.შ. სახელმწიფო სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს	**518 400,0**
სამეცნიერო - კვლევითი გრანტები	**6 764 711,0**
მ.შ.ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**736 202,0**
მ.შ. საერთაშორისო გრანტები	**1 919 209,0**
მ.შ. ეროვნული და საერთაშორისო გრანტების 2012 წლის გარდამავალი ნაშთი	**4 109 300,0**
მთლიანი ასიგნება	
სულ ასიგნება	**59676124**
ხარჯები	**58 578 453**
შრომის ანაზღაურება	**25 316 814,0**
საქონელი და მომსახურება	**28 927 639,0**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**16 847 014,0**
მივლინება	**1 119 721,0**
ოფისის ხარჯები	**5 623 223,0**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**899 532,0**
კვების ხარჯები	**5 000,0**
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	**70 000,0**
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	**384 166,0**
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**3 978 983,0**
გრანტები(საერთაშორისო მიზნობრივი გრანტები საქართველოს და უცხო ქვეყნის ინსტიტუტებს)	**1 300 000,0**
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	**3 034 000,0**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1 097 671,0**
გარდამავალი ნაშთი	4 820 166,0

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №-/ნ
2012 წლის - ოქტომბერი ქ. თბილისი

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №208/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №208/ნ ბრძანებით (ვებგვერდი, 111228011, 28/12/2011, სარეგისტრაციო კოდი 430210000.22.022.016245) დამტკიცებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტი არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. უნივერსიტეტზე და მის მიერ განხორციელებად საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების ნორმები."

ბ) წესდების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 8. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ფაკულტეტების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობასა და მობილობას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელს – რექტორს;

ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის, უნივერსიტეტის განვითარების ფონდის ხელმძღვანელის კანდიდატურის, უნივერსიტეტის ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში;

ვ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების წარდგინებით;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე, ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით;
თ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით;
ი) ადგენს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი და პროფესიული განათლების კრედიტების აღიარების წესს;
კ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას;
ლ) რექტორს დასანიშნად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;
მ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;
ნ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;
ო) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პერსონალის პროფესორთა თანამდებობებზე არჩევისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ;
პ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სტრუქტურის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში;
ჟ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ;
რ) შეიმუშავებს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესს;
ს) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;
ტ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;
უ) იღებს უნივერსიტეტის წესდების 49-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას;
ფ) რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რექტორის ხელახალ არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვის ვადით, ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს;
ქ) იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო ერთეულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნისა და გაუქმების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
ღ) ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს საქმიანობისა და თავმჯდომარის არჩევის წესს;
ყ) განსაზღვრავს პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;
შ) ამტკიცებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს;
ჩ) დადგენილებით იღებს ფაკულტეტების, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ც) ამტკიცებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიან მოდელს;
ძ) იღებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
წ) უფლებამოსილია, რექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების, ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
ჭ) ქმნის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევ საკონკურსო კომისიებს, ამტკიცებს მათ შემადგენლობასა და კომისიის მუშაობის შედეგებს;
ხ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია საბჭოს წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, შექმნას დროებითი კომისიები. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;
ჯ) უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი;
ჰ) აწესებს უნივერსიტეტის მედლებს, ჯილდოებსა და პრემიებს, ამტკიცებს მათი მიღების პირობებსა და წესს.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მის მისაღებად აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური და სამართლებრივი დასაბუთების არსებობა.

გ) წესდების 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 29. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტს;

ბ) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის დებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს ფაკულტეტის სტრუქტურას და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

დ) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) ფაკულტეტის დეკანს დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების გამოყენების თაობაზე;

ზ) დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს."

დ) წესდების 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ქვეპუნქტი:

,,6. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში."

ე) წესდების 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 39. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრ აკადემიური პერსონალის 1/4-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ."

ვ) წესდების 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 44. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არსებობს ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო და დამხმარე თანამდებობებზე პირი მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით შესაძლებელია დასაქმებული იქნას არაუმეტეს 12 თვის ვადით, გარდა კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა."

ზ) წესდების 50-ე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. იმ პერსონალის მიმართ, რომელიც აკადემიურ თანამდებობას დაიკავებს ზედიზედ მეორე ან მომდევნო ვადით, ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი შეზღუდვა არ ვრცელდება."

თ) წესდების 62-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 62. აკადემიური ხარისხის მინიჭება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას უნივერსიტეტი პირს ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს.

2. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.“

ი) წესდების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირები.“

კ) წესდების 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 68. უნივერსიტეტის ქონების განკარგვა

უნივერსიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება, დატვირთვა ან სარგებლობაში გაცემა საჭიროებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას და რეგენტთა საბჭოს თანხმობას.“

ლ) წესდების 72-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. ამ წესდების 54-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოქმედება შეჩერდეს 2014 წლის 1 იანვრამდე.”

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. მარგველაშვილი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბ-ნ. კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსმა დ. კანდელაკმა მოგვმართა წერილით (დოკ.№1598/02, 25.01.2013, თან ერთვის), სადაც ასაბუთებს და ითხოვს დეპარტამენტის სტრუქტურაში ახალი – სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილების ჩამოყალიბებას განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტისა და უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულებით.

აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ახალი დებულების შესაბამისად, გაერთიანდება ამავე ცენტრში განყოფილების სახით. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენილია აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსის ქ. ცინცაძის წერილობითი მომართვა (დოკ. №2618/02 06.02.2013 თან ერთვის). ცენტრის სტრუქტურა ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

ცენტრის უფროსი
მთავარი სპეციალისტი
უფროსი სპეციალისტი
აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების უფროსი
მთავარი სპეციალისტი

გთხოვთ, ზემოაღნიშნული ცვლილებების დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე

დადგენილება №10/2013
4 თებერვალი, 2013

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის „ჩ" ქვეპუნქტის, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ხ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი") აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - ,,ცენტრი") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანომდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის დანიშნულება, საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის დანიშნულებას წარმოადგენს, საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებას საშუალება მისცეს გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მიღების საფუძვლების შექმნისათვის.
2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების (რომელიც გათვლიალია ორ ძირითად სამიზნე აუდიტორიაზე: შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოება /უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები/ და ფართო საზოგადოება /შეუზღუდავად ასაკისა/) პროგრამების, აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მიღების საფუძვლების ათვისებისათვის აუცილებელი მოსამზადებელი პროგრამების შექმნა და ადმინისტრირება.
3. ცენტრის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა.
ბ) საზოგადოებისათვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებით უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება.
გ) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების/კურსების/სემინარების ორგანიზება.
დ) ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და პროექტების მომზადება.
ე) აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მიღების ხელშეწყობა.
4. ცენტრი ახორციელებს:
ა) სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, ადგილობრივი თვითმმართველობის, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების პროგრამების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას და შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;
ბ) უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირებას (მათი შემუშავებისა და დამტკიცების კოორდინირება, პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიება);
გ) უწყვეტი განათლების პროგრამების მსმენელების ჩარიცხვას უწყვეტი განათლების პროგრამებზე, სერტიფიკატების დამზადებას, გაცემასა და შესაბამისი აღრიცხვის წარმოებას;
დ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას;
ე) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;
ვ) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვების წარმოებასა და მათთვის შესაბამისი ტრენინგების/კურსების ორგანიზებას;
ზ) საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;
თ)კონტაქტების დამყარებას უცხოურ უნივერსიტეტებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
ი) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო პროგრამების მომზადების ორგანიზებას და მასწავლებლებისათვის შეთავაზებას;
კ) აბიტურიენტებისათვის აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მოსამზადებელი კურსების შეთავაზებას.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1.ცენტრი ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელიც ზედამხედველობს ცენტრის საქმიანობას. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს განყოფილების უფროსი რექტორთან შეთანხმებით.

2. ცენტრის სტრუქტურაში შედის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება (შემდგომში – ,,განყოფილება”), რომელსაც ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი. განყოფილების უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე.

3. ცენტრის უფროსი:

ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას, უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი
პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) იხილავს და ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ე) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპოდენციებს და თავისი კომპენტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს;

ვ) ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ზ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, ცენტრის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;

გ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ცენტრის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

დ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

4. აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება:

ა) ახდენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
ბ) ხელს უწყობს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის/საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის დადგენილი სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების სრულყოფას;
გ) უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;
დ) ახდენს აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიღებას, რეგისტრაციას, ჯგუფებში განაწილებას ხელშეკრულებით დადგენილი წესების თანახმად;
ე) ახორციელებს აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების აკადემიური მოსწრების პერიოდულ შემოწმებას;
ვ) ახდენს პედაგოგების დატვირთვებისა და აბიტურინტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მეცადინეობების ცხრილის შედგენას;
ზ) უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასებას;
თ) ახორციელებს მეცადინეობებზე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების დასწრების მონიტორინგს.
ი) უზრუნველყოფს აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეკრულებების მომზადებას.
5. ცენტრისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია ცენტრის უფროსი, აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინიტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისათვის ხელშეწყობა;

გ) სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია.

2. დეპარტამენტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის სტრუქტურაში შედიან დეპარტამენტის განყოფილებები.
2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. დეპარტამენტს უფროსს ჰყავს უფროსის მოადგილე.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, განყოფილების უფროსებსა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.
5. დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
6. დეპარტამენტი შედგება შემდეგი განყოფილებისაგან:
ა) სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება;
ბ) სტუდენტთა მომსახურების განყოფილება;
გ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება.
7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი და დეპარტამენტის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა
1. დეპარტამენტის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
ბ) განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
გ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის სახელით გასცემს დასკვნებს;
კ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ლ) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
მ) წარმოადგენს დეპარტამენტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:
ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა -კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
ბ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების განაწილებაში;
გ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;
დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებას;
ე) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის დავალებებს.

3. განყოფილების უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
დ) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;
ე) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ვ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

მუხლი 5. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება:

1. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება:

ა) ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტებს.

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს შესამუშავებელი სამართლებრივი აქტების შედგენასა და ექსპერტიზაში.

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

ე) სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებასა და საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, წერილების მომზადებას.

ვ) ახორციელებს ტუტორების საქმიანობის მონიტორინგს.

ზ) მონაწილეობს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში.

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობის ანალიზს.

ი) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას.

კ) უზრუნველყოფს "სტუდენტის გზამკვლევის" (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავებას.

ლ) უზრუნველყოფს სტუდენტების ხელშეკრულებების მომზადებას.

მ) მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებში.

2. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტების და უფროსი სპეციალისტებისაგან.

მუხლი 6. სტუდენტთა მომსახურების განყოფილება

1. **სტუდენტთა მომსახურების განყოფილება:**

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურების განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში

უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე სამართლებრივი აქტების პროექტებისა და წერილების მომზადებას.

ბ) სტუდენტთა მომსახურების განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

გ) ახორციელებს კონტროლს სტუდენტის პირადი საქმის წარმოებაზე.

დ) უზრუნველყოფს წვევამდელთა აღრიცხვასა და ფორმა №26-ის (სტუდენტ ვაჟებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობა) მომზადებასა და გაცემას.

ე) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების შემუშავებას.

ვ) ახორციელებს უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის შევსებას, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების გადამოწმებას, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების გაცემას და მათ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზ) ახორციელებს სერთიფიკატებისა და მოწმობის ფორმების შემუშავებას, შევსებას, გაცემას და მათ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებასთან უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართებისა და ცნობების ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

ი) ახორციელებს უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების ასლების დამოწმებას.

კ) ახორციელებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ექსპერტიზა-უტილიზაციისთვის მომზადებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ლ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის სხვადასხვა სახის ცნობების გაცემას.

მ) უზრუნველყოფს დოქტორანტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სტუდბილეთების დამზადებას.

2. სტუდენტთა მომსახურების განყოფილება შედგება განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტებისა და უფროსი სპეციალისტებისაგან.

მუხლი 7. სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება

1. სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება:

ა) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებასთან საგანმანათლებლო რეესტრის წარმოების მიზნით.

ბ) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანას და განახლებას.

გ) ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ინფორმაციის შეტანას და მუდმივ განახლებას.

დ) ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ელექტრონულ აღრიცხვაზე.

ე) ახდენს სტუდენტთა კონტინგენტის სემესტრული რეგისტრაციის ორგანიზებას;

ვ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

ზ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე წერილების მომზადებას.

2. სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება შედგება განყოფილების უფროსის, მთავარი სპეციალისტებისა და უფროსი სპეციალისტებისგან.

მუხლი 8. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №5/2013
29 იანვარი, 2013

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების” მე–8 მუხლის „ქ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ და „ხ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეული – „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი“.
2. დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის – „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულება

პრეამბულა

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი ფუძნდება ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ), როგორც უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.

ინსტიტუტის მიზანია, ადმინისტრაციულ მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის განვითარება და ხელშეწყობა, ასევე, საქართველოში საჯარო მმართველობის სფეროსათვის მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული რეკომენდაციების გაწევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

ინტერდისციპლინური მიმართულების დამსახურებით, ინსტიტუტი იზრუნებს, როგორც სტუდენტებისა და მეცნიერების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე უკვე დასაქმებული პრაქტიკოსებისა და საჯარო მოხელეების გადამზადებაზე.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (შემდგომში ინსტიტუტი) არის თსუ-ის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ინსტიტუტის ოფიციალური სახელწოდებაა: ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერისტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული “ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი”
3. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი მხარს უჭერს საერთაშორისო თანამშრომლობას საჯარო მმართველობის მიმართულებით.
4. ინსტიტუტი შეიძლება გააჩნდეს საბანკო ანგარიშები (ქვეანგარიშები).
5. ინსტიტუტის მისამართია: ი.ჭავჭავაძის გამზირი № 3, თსუ II კორპუსი, თბილისი, საქართველო.
6. ინსტიტუტი უფლებამოსილია, ჰქონდეს საკუთარი ოფიციალური ნიშანი, ემბლემა, დროშა და სხვა საიდენტიფიკაციო ატრიბუტები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მიზნები და ამოცანები

მუხლი 2. მიზნები

ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

ა) ადმინისტრაციული მეცნიერებების, ასევე პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეცნიერული კვლევების, განათლებისა და გადამზადების საქმიანობის შემდგომი განვითარება.

ბ) საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი, ადმინისტრაციული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული შესაძლებლობების შექმნა და დამუშავება.

გ) საქართველოს საჯარო მმართველობის მეცნიერულ საფუძვლების განვითარება.

მუხლი 3. ამოცანები

ინსტიტუტის ძირითადი ამოცანაა:

ა) საჯარო მმართველობის მოდერნიზებისათვის მიზნობრივი კვლევები;

ბ) საჯარო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება, იმ ორგანოებთან შეთანხმებით, რომლებიც საჯარო სექტორში ანალოგიური საკითხით არიან დაკავებულნი;

გ) კვლევებზე დაფუძნებული გადამზადება; რეგიონალური, ადგილობრივი და სახელმწიფო მოხელეების პროფესიული განვითარება;

დ) სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა;

ე) საჯარო მმართველობის სფეროს განვითარებისათვის ეკონომიკური აღმასვლის ხელშეწყობა;

ვ) კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული რეფორმების მეცნიერული ურთიერთკავშირის ხელშეწყობა;

ზ) საერთაშორისო ადმინისტრაციული თანამშრომლობის ხელშეწყობა საჯარო მმართველობისა და ადმინისტრაციულ მეცნიებათა განვითარების მიმართულებით.

მუხლი 4. ღონისძიებები

საკუთარი მიზნების მისაღწევად ინსტიტუტმა:

1. მეცნიერებს, სტუდენტებს და პრაქტიკოს მუშაკებს უნდა შესთავაზოს დამატებითი საგანმანათლებლო (არააკადემიური) და გადასამზადებელი პროგრამები;
2. გამართოს პრაქტიკასა და კვლევებზე ორიენტირებული სემინარები, კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები;
3. მოახდინოს კვლევითი პროექტების ინიცირება, ხელშეწყობა და განხორციელება;
4. კვლევისა და გადამზადების კუთხით, განავითაროს თანამშრომლობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
5. გამოაქვეყნოს მეცნიერული კვლევებისა და გამართული ღონისძიებების შედეგები;
6. ხელი შეუწყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს შორის დიალოგის გამართვას;
7. საკუთარი საქმიანობის საჯაროობის მიზნით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განათავსოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მუხლი 5. ინსტიტუტის უფლებამოსილება

ინსტიტუტი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომლებიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაფუძნების საფუძვლები და ინსტიტუტის წევრები

მუხლი 6. ინსტიტუტის დაფუძნების საფუძვლები

ინსტიტუტი ფუძნდება თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ს საქართველოს მთავრობისა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ინიციატივით. ინიციატორებს შორის პარტნიორობის შესახებ შეთანხმება ფორმდება ცალკე. ინსტიტუტის წევრები შესაძლებელია იყვნენ მეცნიერები, იურისტები და სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირები.

მუხლი 7. ინსტიტუტის წევრები

1. ინსტიტუტის წევრები არიან თსუ, საქართველოს მთავრობა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, რომლებიც ინსტიტუტის გამგეობაში არანაკლებ ერთი წარმომადგენლით იქნებიან წარმოდგენილნი.

2. სხვა ორგანიზაციები და პირები ინსტიტუტის წევრობას მხოლოდ ინსტიტუტის გამგეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღებენ, თუ მათი წევრობა არ ეწინააღმდეგება ინსტიტუტის მიზნებსა და საქმიანობის მიმართულებებს.

3. ინსტიტუტის წევრობიდან გასვლა ხდება წევრის მიერ გამგეობისათვის წერილობითი მიმართვიდან ერთი თვის შემდეგ, გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ ვადის დაუცველობა დასაშვებია, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

თავი IV

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა

მუხლი 8. გამგეობა

1. ინსტიტუტის უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის ინსტიტუტის გამგეობა. გამგეობა შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, სადაც ორი პირი წარმოადგენს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტს, ორიც საქართველოს მთავრობას და ერთი წევრი წარმოდგენილი იქნება შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან. გამგეობის ყოველი წევრი ასევე ასახელებს საკუთარ მოადგილეს, რომელიც გადაიბარებს მის უფლებამოსილებას, კონკრეტული წევრის არყოფნის შემთხვევაში. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 წლით.

2. წევრთა გადარჩევა ხდება დამფუძნებლების მიერ.

3. გამგეობის ახალ წევრებს, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ირჩევს თავად გამგეობა არსებული უფლებამოსილების ვადით, კანდიდატის ხელახალი არჩევა დასაშვებია. საკუთარი წერილობითი განცხადების საფუძველზე ,გამგეობის წევრს შეუძლია სამ წლიანი უფლებოსილების ვადის გასვლამდე უარი თქვას გამგეობის წევრობაზე.

4. გამგეობა ირჩევს აღმასრულებელ და აკადემიურ დირექტორს ხმათა სრული უმრავლესობით. გამგეობის მიერ არჩეულ დირექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს თსუ-ს

რექტორი.

მუხლი 9. გამგეობის ამოცანები

1. ხმათა სრული უმრავლესობით გამგეობა:

ა) ადგენს ინსტიტუტის დებულების ცვლილების პროექტს;

ბ) ირჩევს ინსტიტუტის ახალ წევრებს;

გ) ქმნის სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს;

დ) ირჩევს აღმასრულებელ და აკადემიურ დირექტორს (დირექტორები შეიძლება დასახელდეს ასევე იმ პირთაგან, რომლებიც არ არიან გამგეობის წევრები)

ე) ადგენს წლიურ ბიუჯეტს, ეკონომიკურ გეგმებს და წარუდგენს თსუ-ს ადმინისტრაციას განსახილველად;

ვ) თსუ-ს მმართველ ორგანოებს მიმართავს ინიციატივით ინსტიტუტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციის შესახებ.

2. გამგეობის ყოველი წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმათა უბრალო უმრავლესობით გამგეობა:

ა) განსაზღვრავს დირექტორებისა და ინსტიტუტის წევრების უფლებამოსილებას;

ბ) არსებული რეგულაციების შესაბამისად გამოცემს ან ამტკიცებს ინსტიტუტის შიდა გადაწყვეტილებებს;

გ) ადგენს ინსტიტუტის ძირითად საკითხებს, სამოქმედო გეგმებს, პროექტებისა და პროგრამებს;

დ) გადააბარებს დირექტორებს მის უფლებამოსილებებს, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საკითხებისა.

3. გამგეობის სხდომები ტარდება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ მაინც. სხდომების მოწვევა ხდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

4. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი. საჭიროების შემთხვევაში სხდომების ჩატარებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი საკომუნიკაციო საშუალებები, როგორიცაა ტელეფონი ან საკომუნიკაციო ინტერნეტ საშუალებები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ წევრი ესწრება სხდომას. ასეთ დროს ადგილზე არმყოფი პირი კენჭისყრაში მონაწილეობს ტელეფონის ან საკომუნიკაციო ინტერნეტ საშუალებების მეშვეობით. სხდომის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა აისახოს სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს აღმასრულებელი დირექტორი.

5. სხდომის მოწვევა საჭირო არაა, როდესაც კენჭისყრაზე დასმულ საკითხთან მიმართებით წევრების ნახევარზე მეტს ერთი და იგივე პოზიცია აქვთ, რაც დადასტურებულია წერილობით (ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ელ-ფოსტაც). ასეთ დროს აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია, მოახდინოს გადაწყვეტილების ფორმულირება და მოაწეროს ხელი.

მუხლი 10. ინსტიტუტის დირექტორები

1. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობაზე, ხოლო აკადემიური დირექტორი პასუხისმგებელია და კოორდინირებას უწევს ინსტიტუტის აკადემიურ საქმიანობას, როგორც კვლევებისა და განვითარებისათვის დასახულ ამოცანებს, ასევე ინსტიტუტის ზოგად საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

2. ინსტიტუტის გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით უფლებამოსილია გაკეთოს წარდგინება დაკავებული თანამდებობიდან დირექტორების გათავისუფლების შესახებ, მათი პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე. თანამდებობაზე არჩევის ან გათავისუფლებაზე წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, ის პირები, ვისი საკითხიც განიხილება არ სარგებლობენ ხმის უფლებით.

3. აღმასრულებელი დირექტორის ამოცანებია:

ა) ადმინისტრაციულ მეცნიერებათ ინსტიტუტის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა;

ბ) წარმოადგინოს ინსტიტუტი განსაზღვრულ ურთიერთობებში;

გ) წარდგინებით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის თანამშრომლების დანიშვნის ან გათავისუფლების შესახებ;

დ) უზრუნველყოს გამგეობის გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა;

ე) შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე წარმოადგინოს ინსტიტუტი სასამართლოში, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში, გახსნას ან გააუქმოს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ასევე სხვა უცხოურ ვალუტაში, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ხელმოსაწერად წარუდგინოს ფინანსური, თუ სხვა სახის დოკუმეტაცია;

ვ) მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის ფინანსური თუ სხვა რესურსების განკარგვის მიზნით და გამოიყენოს ისინი ინსტიტუტის მიზნებისა და დასახული ამოცანების განსახორციელებლად;

ზ) გამგეობის მოთხოვნის, ან სხვა წევრთა მოთხოვნის საფუძველზე გააკეთოს მოხსენება თავისი საქმიანობის შესახებ;

თ) გამგეობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულოს სხვა ამოცანები.

4. აკადემიური დირექტორის ამოცანებია:

ა) იყოს პასუხისმგებელი ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ აკადემიურ ღონისძიებებზე;

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს ინსტიტუტის სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებს;

გ) დაგეგმოს ყოველდღიური ხასიათის აკადემიური ღონისძიებები, მათ შორის სემინარები, ტრეინინგები, გაცვლითი პროგრამები და საზაფხულო სკოლები;

დ) გამგეობის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულოს სხვა ამოცანები.

5. დირექტორები უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენენ წინადადებებს, ინსტიტუტის შიდა სტრუქტურული მოწყობისა და საშტატო ნუსხასთან დაკავშირებით და ხსენებული

წინადადებების განხილვის შემდგომ სტრუქტურული მოწყობისა და საშტატო ნუსხის პროექტებს.

მუხლი 11. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო

1. ინსტიტუტში შეიქმნება სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო.

2. სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო გამგეობის საკონსულტაციო ორგანოა. საბჭო მოიწვევა წელიწადში ერთხელ აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

3. საბჭო გასცემს რეკომენდაციებს ნებისმიერ საკითხზე, რომლებიც უკავშირდება ინსტიტუტის მიზნებსა და საქმიანობას.

4. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე თუ იურიდიული პირი შეიძლება არჩეულ იქნეს საჭოს წევრად.

5. მრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის;

თავი V

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაფინანსება

მუხლი 12. ინსტიტუტის დაფინანსება

1. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაფინანსება კანონმდებლობით დაშვებული ყველა საშუალებით არის შესაძლებელი, მათ შორის:

ა) დაფუძნების ინიციატორი, თსუ-ს პარტნიორების თანამონაწილეობა;

ბ) თსუ-ს მიერ, მათ შორის იურიდიული ფაკულტეტის ყოველწლიური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 0.4%.

გ) სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული შემოსავლები

დ) შემოსავალი საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამებიდან;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებები;

2. ინსტიტუტის რესურსების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ თსუ-სა და ინსტიტუტის მიზნებისათვის.

თავი VI

რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 13. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII

გარდამავალი დებულებები

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულება ძალაში შედის თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების შემდგომ.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

ირაკლი ბურდული _____

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი საღარეიშვილი _____

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

არჩილ კუკულავა _____